საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივესიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	*ქიმია*
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	*ქიმიის ბაკალავრი*
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	***პროგრამის მოცულობა :*** 240 კრედიტი: ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები - 180 კრედიტი, მათ შორის სპეციალობის არჩევითი კომპონენტი – 15 კრედიტი და 60 კრედიტი – დამატებითი minor სპეციალობა (1 ECTS კრედიტი გულისხმობს 25 საათს).
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და გულისხმობს ზოგადი განათლების მქონე, კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტის - ქიმიკოსის მომზადებას, რომელსაც გააზრებული აქვს თავისი მომავალი პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა; თეორიული და პრაქტიკული განათლების მიცემას ქიმიის საბაზო დისციპლინებში - არაორგანულ. ანალიზურ, ორგანულ, ფიზიკურ ქიმიაში, ასევე კოლოიდური ქიმიის, მაღალმოლეკულური ნაერთების, ქიმიური ტექნოლოგიის, ეკოლოგიური ქიმიის და სხვა მნიშვნელოვან ქიმიურ დისციპლინებში; ქიმიის ექსპერიმენტული მეთოდების დაუფლებას; ქიმიაში დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებას : ცოდნის გაცნობიერების უნარების, შესაძლებლობებისა და ღირებულებების ერთობლიობას, შესაბამისი პროფილით დამოუკიდებელი და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავება. პროგრამა უზრუნველყოფს ქიმიის ტრადიციული დისციპლინების საფუძვლების შესწავლას, რაც მისცემს კურსდამთავრებულს ფართო ასპარეზს შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის (კვლევითი და საწარმოო ორგანიზაციები:ქიმიურ-ფარმაცევტული,კვების მრეწველობის, ნავთობქიმიური, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი შესაბამისი ლაბორატორიები, მომსახურების სფეროები) ან სწავლების მეორე საფეხურის აკადემიური პროგრამების გავლის შესაძლებლობას. პროგრამის მიზანია ასევე მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელ თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბება.
სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები)	***ცოდნა და გაცნობიერება:*** აქვს სფეროს ფართო ცოდნა, *იცის* ქიმიურ მეცნიერებათა თეორიული საფუძვლები და პრინციპები, ნაერთებისა და ნივთიერებების შედგენილობა, აღნაგობა, თვისებები, ქიმიური პროცესების მიმდინარეობის პირობები და მექანიზმები, ანალიზისა და კვლევის ძირითადი მეთოდები; *გაცნობიერებული აქვს :* ქიმიის კომპლექსური საკითხები, ქიმიური რეაქციების მიმდინარეობის პრინციპები, ფიზიკურ–ქიმიური სისტემები და მათი დაყოფის მეთოდები; ძირითადი ქიმიურ -ტექნოლოგიური პროცესების კანონზომიერებები და გარემოს ქიმიურ დაბინძურებასთან დაკავშირებული პრობლემები, ცოცხალი მატერიის ქიმიური საფუძვლები, ბუნებრივი ნაერთების მონაწილეობა ცოცხალი ორგანიზმების ცხოველმყოფელობაში და ორგანიზმში გარდაქმნის მექანიზმები. ***ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი :*** *შეუძლია* ქიმიის დარგისათვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი სპეციფიკური მეთოდების პრაქტიკული გამოყენება, ნივთიერებების მიღება და მათი ქიმიური ანალიზის პრაქტიკულად განხორციელება, დარგისათვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი სპეციფიკური მეთოდების პრაქტიკული გამოყენება, თეორიული ცოდნის საფუძველზე ქიმიური გაანგარიშებების, გარდაქმნების შესრულება და ამოცანების ამოხნა, ექსპერიმენტული ხასიათის პროექტის განხორციელება, ლაბორატორიული ხელსაწყოების სამუშაოდ მომზადება და უსაფრთხო ექსპლუატაცია, ქიმიურ ნივთიერებებთან უსაფრთხოდ მუშაობა, მათემატიკისა და კომპიუტერული ტე-ქნოლოგიების ძირითადი საბაზო ცოდნის ქიმიაში გამოყენება; ***დასკვნის უნარი:***

	შეუძლია: ქიმიური ექსპერიმენტის მიმდინარეობაზე დაკვირვება, მონაცემების შეგროვება და მათემატიკური დამუშავება, შედეგების გაანალიზება და ლოგიკური დასკვნების გამოტანა, აბსტრაქტული აზროვნება, ლოგიკური მსჯელობა , ცოდნის ანალიზი და სინთეზი; ***კომუნიკაციის უნარი :*** *შეუძლია:* ქიმიური ექსპერიმენტის, პრობლემების, გადაჭრის გზების და შედეგების შესახებ წერილობითი ან ზეპირი ფორმით პროექტის, რეფერატის და სხვა დავალების ქიმიაში საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება,დისკუსია, კამათი და საკუთარი აზრის დასაბუთება.***სწავლის უნარი :*** საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. *შეუძლია:* მიღებული ცოდნის საფუძველზე ქიმიური მიმართულებით სწავლის საჭიროების განსაზღვრა და გაგრძელების აუცილებლობის დადგენა, აქვს ცოდნის განახლების უნარი ; ***ღირებულებები :*** მონაწილეობა ღირებულებების ფორმირების პროცესში და სწრაფვა მათ დასამკვიდრებლად; აფასებს ქიმიის დარგის განვითარების პერსპექტივებს, მნიშვნელობასა და ღირებულებას ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის, გააჩნია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ვალდებულებების შეგნება, პატივს სცემს მშობლიური ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და ტრადიციებს.
შეფასების წესი	***საკრედიტო სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:*** *(A)ფრიადი* - 91-100 ქულა, *(B) ძალიან კარგი* - 81-90 ქულა,*(C) კარგი* - 71-80 ქულა, *(D) დამაკმაყოფილებელი* - 61-70 ქულა, *(E) საკმარისი* - 51-60 ქულა.***ორი სახის უარყოფით შეფასებას*** *: (FX) ვერ ჩააბარა* - 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი სამუშაო აქვს შესასრულებელი და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება, *(F) ჩაიჭრა* –40 ქულა, სტუდენტს საგანი ხელმეორედ აქვს შესასწავლი.შეფასების კონკრეტული კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით.
საკონტაქტო პირი	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქიმიის დეპარტამენტის სრული პროფესორი ***ირინა ბეჟანიძე***, 6010 ქ.ბათუმი , ახმეტელის ქ. 7, ბ.15, ***ტელეფონი:*** *(+995) 93 36-17-38_* ***ელ. ფოსტა :*** irina_bejanidze @ live.ru